

მარიანე ივანიშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი: ინდოევროპული წინარე სამშობლოს საიდუმლო

აბსტრაქტი

ინდოევროპული წინარე სამშობლოს საიდუმლო – ამ სათაურით 1981 წელს ჟურნალში *Наука в СССР* (N2, გვ. 80-92) დაიბეჭდა სვეტლანა ორლოვას ინტერვიუ თ. გამყრელიძესა და ვ. ივანოვთან, მათი ცნობილი მონოგრაფიის *ინდოევროპული ენა და პროტო-ინდოევროპელები* (Гамкрелидзе Т.В., Иванов В.В., *Индоевропейский язык и индоевропейцы. Реконструкция историко-типологического анализа праязыка и пракультуры*, ТГУ, т. 1-2, Тбилиси 1984) გამოქვეყნებამდე სამი წლით ადრე. ამ ნაშრომისთვის ავტორებს მიენიჭათ ლენინური პრემია. მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუს გამოსვლიდან ზუსტად 43 წელია გასული, აქ გამოთქმულ მოსაზრებებს ყავლი არ გასვლიათ და, ვფიქრობ, საინტერესო იქნება მათი გაცოცხლება. თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი ინტერვიუში დეტალურად ჰყვებიან წინარე ენის რეკონსტრუქციის ისტორიულ-მედარებით მეთოდზე, პასუხობენ კითხვებზე: რა არის წინარე სამშობლო? ვინ მეტყველებდნენ ამ ენებზე? როდის? რის შესახებ საუბრობს ხალხი? რა აისახება მათ ენაში? რას ქმნიან, რითი ვაჭრობენ, რაზე ფიქრობენ? როგორია მათი წეს-ჩვეულებები, მითები და სხვ. ავტორები ხსნიან პროტო-ინდოევროპული ენის აღდგენილი სიტყვებიდან და ტექსტებიდან შედგენილი თემატური ლექსიკონის სტრუქტურას, რომელიც მოიცავს ცნებების სამ მთავარ ჯგუფს: საცხოვრებელი გარემო, მატერიალური და სულიერი კულტურა, სოციალური ორგანიზაცია. ლექსიკონში წარმოდგენილი ყოველი ცნება არ არის შეზღუდული მხოლოდ ლინგვისტური მონაცემებით, დაწვრილებით არის კომენტირებული სხვა მეცნიერებების მონაცემთა გათვალისწინებით: პალეობოტანიკის, პალეოზოოლოგიის, ისტორიის, მითოლოგიის, არქეოლოგიის, ანთროპოლოგიის და სხვ. ასევე, ინდოევროპული ტომების მიგრაციის გზები და მიზეზები, თუ რატომ მოხდა, რომ მთებიდან დაშვებული ინდოევროპელები არ რჩებოდნენ ძირში და მიდიოდნენ უფრო შორს და შორს თავიანთი წინაპრების სამშობლოდან.

საკვანძო სიტყვები: ისტორიულ-მედარებითი მეთოდი; პროტო-ინდოევროპული; თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი; გლოტალური თეორია.

ინდოევროპული წინარე სამშობლოს საიდუმლო – ამ სათაურით 1981 წელს ჟურნალში *Наука в СССР* (N2, გვ. 80-92) დაიბეჭდა სვეტლანა ორლოვას ინტერვიუ თ. გამყრელიძესა და ვ. ივანოვთან, მათი ცნობილი მონოგრაფიის *ინდოევროპული ენა და პროტო-ინდოევროპელები* (Гамкрелидзе Т.В., Иванов В.В., *Индоевропейский язык и индоевропейцы. Реконструкция историко-типологического анализа праязыка и пракультуры*, ТГУ, т. 1-2, Тбилиси 1984) გამოქვეყნებამდე სამი წლით ადრე. ამ ნაშრომისთვის ავტორებს მიენიჭათ ლენინური პრემია. მიუხედავად იმისა, რომ

ინტერვიუს გამოსვლიდან ზუსტად 43 წელია გასული, აქ გამოთქმულ მოსაზრებებს ყავლი არ გასვლიათ და, ვფიქრობ, საინტერესო იქნება მათი გაცოცხლება.

მე-19 საუკუნეში დადგინდა ინდოევროპულ ენებს შორის ნათესაობა და ნათელი გახდა, რომ ისინი ერთი საერთო წინაპრისგან მომდინარეობენ. მას შემდეგ დაიწყო ძიება ტერიტორიისა, სადაც ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობდა. გასული 150 წლის განმავლობაში იბადებოდა მრავალი ჰიპოთეზა, რომელთაგან ორს ყველაზე მეტი მომხრე ჰყავდა: მეცნიერთა ერთი ნაწილი ინდოევროპელთა წინარე სამშობლოდ თვლიდა ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვების სანაპიროს, მეორენი – შავი ზღვის ჩრდილოეთ ტერიტორიას. არ ცხრებოდა დავა იმ გზების შესახებაც, რომლებმაც მიიყვანეს ინდოევროპელები, მათი კულტურა და ენა ერთმანეთისაგან მრავალი ათასი კილომეტრით დაშორებულ ადგილებამდე.

თ. გამყრელიძე ინტერვიუს იწყებს ასეთი პარადოქსული მტკიცებულებით: „ჩვენ ვეძიებდით ინდოევროპელთა არა წინარე სამშობლოს, არამედ ობიექტურ მოწმეებს. ასეთები შესაძლებელია ყოფილიყვნენ მხოლოდ თვითონ ინდოევროპელები. მხოლოდ მათ შეეძლოთ მოეთხროთ სად, როდის და როგორ ცხოვრობდნენ. მაგრამ, ისინი ხომ იმ ენაზე ლაპარაკობდნენ, რომელიც ჩვენ არ ვიცით. ასე რომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღგვედგინა ეს პრაენა. ჩვენ ორივენი ლინგვისტიები ვართ, ლინგვისტიკას კი ძალუძს „უკან წინასწარმეტყველება“. გასაგები რომ გახდეს, თუ როგორ არის ეს შესაძლებელი, თ. გამყრელიძე ხსნის ისტორიულ-შედარებითი მეთოდის არსს: ენათა ნათესაობის დადგენის მთავარი კრიტერიუმია შესადარებელ ენათა ძირითადი ლექსიკური ფონდის ერთეულებისა და გრამატიკული სისტემის ელემენტებს შორის რეგულარულ ფონემურ შესატყვისობათა არსებობა და ნიმუშად მოჰყავს სიტყვა „ცხენ“-ის რეკონსტრუქციის მაგალითი პრაინდოევროპულში:

ლათინური	e q u u s
ძველი ინდური	a ś v a s
იეროგლიფური	
ლუვიური	a ś uw a s
	.
პრაინდოევროპული	*e ħ w o s

აქ ლათინური e = ძველი ინდური a = ლუვიური a <= $*e$, ლათინური u = ძველი ინდური v = ლუვიური uw <= $*w$.

რეკონსტრუქცია მიიჩნეოდა სანდოდ, როდესაც აღდგენილი სიტყვა აკმაყოფილებდა ორი კრიტერიუმიდან ერთს მაინც: სივრცითს და დროითს. რას ნიშნავს ეს?

სიტყვა ითვლებოდა პრაინდოევროპულად, თუ ის დაცული იყო ერთმანეთისაგან ტერიტორიულად უფრო მეტად დაშორებულ ენებში, მაგალითად, ძველი ინდური *medha* „მსხვერპლის შეწირვა“ – ძველი კელტური *midvo* „მსხვერპლის შეწირვა“. ეს საზოგადოდ უნივერსალური კრიტერიუმია ნებისმიერი მოვლენის გავრცელებულობის განსასაზღვრავად: სახეობები, რომლებსაც ვპოულობთ რაიმე ტერიტორიის პერიფერიებში, ოდესღაც ამ მთლიან ტერიტორიაზე იყო გავრცელებული. ეს პრინციპი ფართოდ გამოიყენება

ბიოლოგიაში, ანთროპოლოგიაში, უფრო იშვიათად – ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.

სიტყვა ითვლებოდა პრაინდოევროპულად იმ შემთხვევაშიც, როცა ის დასტურდებოდა უძველეს ინდოევროპულ ენებში (ძველი ინდური *yuga* „უღელი“ – ხეთური *yuga* „უღელი“).

იყო შემთხვევები, როდესაც პრაენის შთამომავლად ითვლებოდა სიტყვა, რომელიც დასტურდებოდა მხოლოდ რამდენიმე ინდოევროპულ ენაში. სხვა ხალხები, ამა თუ იმ მიზეზის გამო, მას არ იყენებდნენ. ასე მაგალითად, სლავებს ეშინოდათ დათვის და მას მოიხსენიებდნენ აღწერილი ფორმით – „თაფლის მჭამელი“ („медведь“ – „едящий мед“). ამავდროულად, ხეთურ ენაში „დათვი“ მნიშვნელობით დასტურდება – *ḫartaggaš*, ლათინურში – *ursus*, ბერძნულში – *ἄρκτος*, ძველ ინდურში – *r̥kṣaṣ*, რომელთა შეპირისპირების საფუძველზე პრაინდოევროპულში აღდგენილია ფუძე – **Hortkos* „დათვი“ მნიშვნელობით.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდით ინდოევროპული პრაენისთვის შესაძლებელი გახდა არა მარტო ცალკეული სიტყვების, არამედ ტექსტების ნაწილების აღდგენაც, მათ შორის პოეტური ტექსტებისაც. გამოჩენილმა ამერიკელმა ფილოლოგმა და ლინგვისტმა რ. იაკობსონმა აჩვენა, რომ სლავური ფოლკლორული პოეზიის განსაზღვრული ჟანრების (ბილინები, გოდება) რითმები აგრძელებენ საერთო-ინდოევროპულ მეტრებს, აღდგენილს ბერძნული ენის ყველაზე არქაული ფორმების ძველი ინდური „რიგვედის“ მეტრებთან მიმართებით. იმავე საერთო-ინდოევროპულ მეტრებს ემთხვევა საზომები, რომლითაც დაწერილია ხეთური სიმღერები, ვ. ივანოვმა მათი რუსულ ენაზე თარგმნისას –

*Ткани Несы, Ткани Несы
Принеси, Приди*

– ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ძირითადი ბგერადობის სიტყვა (მოყვანილ მაგალითში „Неса“) მეორდება სხვა სიტყვაში („принеси“). ინდოევროპული პოეზიის ეს პრინციპი, ანაგრამებად წოდებული, აღმოჩენილი იყო ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში თანამედროვე ლინგვისტიკის ფუძემდებლის ფ. დე სოსიურის მიერ.

ამგვარად, აღდგებილ იქნა მრავალი პრაინდოევროპული სიტყვა, თუმცაღა, ცალკეულ სიტყვებს, თუნდაც მათი რაოდენობა ბევრი ყოფილიყო, არ შეეძლოთ მოეცათ სრული წარმოდგენა ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრობდნენ ასე დიდი ხნის წინ – ძველად, რამდენად ძველად? და დაისვა კითხვა: რა არის წინარე სამშობლო?

ამ კითხვებს ავტორები პასუხობენ ამგვარად:

გარკვეული დროის განმავლობაში ადამიანები ცხოვრობენ ერთ ტერიტორიაზე, ხოლო ათასი წლის მერე მათ შთამომავლებს ვხვდებით სრულიად სხვა ადგილას. ასე, მაგალითად, ლათინური I ათასწლეულის შუა წლებში ჩვ. წელთაღრიცხვამდე იყო ერთი ქალაქის – რომის ენა; მაგრამ უკვე ახალი წელთაღრიცხვის ზღვარზე რომის იმპერია და მასთან ერთად ლათინური ვრცელდება უზარმაზარ ტერიტორიაზე მოლდოვადან პორტუგალიამდე. ამიტომ, საკითხს წინარე სამშობლოს შესახებ დროის მითითების გარეშე უბრალოდ აზრი

არა აქვს. ყოველივე ეს, ბუნებრივია, ეხება ინდოევროპელების წინარე სამშობლოს და მათ ენასაც.

ინდოევროპულ პრაენას, როგორც უზარმაზარი ოჯახური გაერთიანების წინაპარ ფუძენას, აქვს მრავალი განშტოება. მათი ნაწილი მკვდარია, ნაწილი კი ცოცხალია დღემდე. საერთო პრაენის აღდგენისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია ერთიც და მეორეც.

თ. გამყრელიძეს მოჰყავს გოთური¹ ენის, პრუსიულის, ძველი სლავურის, ლათინურის, ხეთურის, მე-20 საუკუნეში აღმოჩენილი მკვდარი ინდოევროპული ენების მაგალითები (მათი აღმოსავლეთ მეზობლების – მითანის ინდო-ირანულ დიალექტზე მოლაპარაკე მცხოვრებთა და დასავლელი მეზობლების – ბერძენ-აქაველების უძველესი დიალექტების შესახებ) და ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ყველა ეს ენა ერთმანეთის მეზობლად იყო გავრცელებული – მცირე აზიის ტერიტორიაზე.

ანალიზის სპეციალური მეთოდები (მ. სვოდემის მეთოდი) შესაძლებლობას იძლევა გამოითვალოს მონათესავე ენების ერთმანეთისგან დიფერენციაციის დრო, ანუ განისაზღვროს დრო საერთო ენის დაშლისა, რაც უნდა მომხდარიყო არაუგვიანეს IV ათასწლეულისა ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ეს ნიშნავს, რომ ერთიანი ინდოევროპული პრაენა არსებობდა უფრო ადრე. თუ შევძლებთ გავიგოთ, როგორ ცხოვრობდნენ ინდოევროპელები ჩვ. წელთაღრიცხვამდე IV ათასწლეულამდე, რის შესახებ საუბრობს ხალხი, რა აისახება მათ ენაში, ცხადია, ის, რაც ამ ადამიანებს გარს აკრავთ, რითაც ისინი დაკავებული არიან, რასაც ქმნიან, რითაც ვაჭრობენ, რაზეც ფიქრობენ, მათი წეს-ჩვეულებები, მითები – ერთი სიტყვით, ყველაფერი, რითაც ისინი ცხოვრობენ. ამიტომ პროტო-ინდოევროპული ენის აღდგენილი სიტყვებიდან და ტექსტებიდან ავტორები აღგენენ თემატურ ლექსიკონს, რომელიც მოიცავდა ცნებების სამ მთავარ ჯგუფს: *საცხოვრებელი გარემო, მატერიალური კულტურა, სულიერი კულტურა და სოციალური ორგანიზაცია*.

თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი მოკლედ განიხილავენ ამ ჯგუფებს და გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ინდოევროპელების წინარე სამშობლო წინა აზიას (მცირე აზია, მესოპოტამია).

ამ ვარაუდს ამაგრებს ახლებურად აღდგენილი პროტო-ინდოევროპული ენის სტრუქტურა, აგრეთვე, ნასესხობები ინდოევროპული პრაენიდან სემიტურსა და ქართველურში და ამ ორი ენიდან – ინდოევროპულში, რაც შეიძლებოდა მხოლოდ სამივე პრაენის ძალიან მჭიდრო ურთიერთობის, მეზობლობის, ანუ ენათა კავშირების (ნ. ტრუბეცკოი), პირობებში.

თ. გამყრელიძის გლოტალური თეორია ეყრდნობა ენათა ტიპოლოგიის უნივერსალურ კანონებსა და არქეოლოგიურ მონაცემებს და ეს ორიგინალური

¹ გოთური არის იმ ტომთა ენა, რომელთაც ერთ დროს დაჰყრობილი ჰქონდათ ევროპის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ ენის უკანასკნელი ცოცხალი სიტყვები ჩაწერილია ყირიმში სულ რამდენიმე საუკუნის წინ. გოთებმა მიაღწიეს ბიჭვინთამდეც კი და შემთხვევითი არ არის, რომ ზოგიერთი ასოს სახელი გოთურ და ქართულ ანბანებში ერთმანეთს ემთხვევა; ხოლო ესპანეთში დღემდე შემონახულია გოთური გეოგრაფიული სახელები. ქართული ასომთავრული „ჟ“ ნიშანი, რომელიც ქართულ ანბანთრიგში ზის ბერძნული „ξ [ks] „60“ ნიშნის ნაცვლად, გრაფიკულადაც ამ უკანასკნელისაგან მთლიანად განსხვავებულია და საოცარ დამთხვევას ავლენს როგორც ფონეტიკური მნიშვნელობით, ისე თავისი ადგილით ანბანთრიგში („60“) და მოხაზულობით, გოთურ G [j] ნიშანთან.

ლინგვისტური პარადიგმა შეფასებულია მე-20 საუკუნის ინდოევროპული შედარებითი ენათმეცნიერების ყველაზე მნიშვნელოვან შენაძენად, რაც შეიძლება შეუდარდეს მხოლოდ ფ. დე სოსიურის ლარინგალურ თეორიას, რომელიც შეიქმნა მე-19 საუკუნეში. ახალი თეორია მთლიანად ცვლის წარმოდგენას ინდოევროპულ ენათა ისტორიასა და განვითარებაზე, წარმოდგენებს, რომლებიც კლასიკურ ენათმეცნიერებაში არსებობდა 150 წელზე მეტ ხანს!

საერთო-ინდოევროპული

საერთო-ქართველური

საერთო-სემიტური

საერთო-ინდოევროპული			საერთო-ქართველური			საერთო-სემიტური		
I	II	III	I	II	III	I	II	III
(p')	b ^[h]	p ^[h]	p	b	p ^[h]	—	b	p ^[h]
t'	d ^[h]	t ^[h]	t'	d	t ^[h]	t'	d	t ^[h]
k'	g ^[h]	k ^[h]	k'	g	k ^[h]	k'	g	k ^[h]
⋮	⋮	⋮	⋮	⋮	⋮	⋮	⋮	⋮

I - გლოტალიზებული; II - მჟღერი; III - ყრუ [ფშვინვიერი]

დადგენილია, რომ პრაქართველები ცხოვრობდნენ სამხრეთ ამიერკავკასიაში, სემიტები – მესოპოტამიასა და მისგან დასავლეთით, ასეთ შემთხვევაში ინდოევროპელებს შეეძლოთ ეცხოვრათ სადღაც სამხრეთ კავკასიას, სირიასა და მესოპოტამიას შორის, იმ ტერიტორიაზე, რაზეც მიუთითებს ინდოევროპული ლექსიკონი. ამგვარად, წინარე სამშობლო ნაპოვნია. მაგრამ რჩება ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი კითხვა. თანამედროვე ინდოევროპული ენები ამჟამად გვხვდება ევროპაში, ინდოეთში, შუა აზიაში. როგორ და როდის მოხვდნენ ისინი იქ? რამ აიძულა ინდოევროპელები, დაეტოვებინათ წინარე სამშობლო?

თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის მიხედვით, ადრეული კულტურები იბადებოდა მთებში და ვინაიდან იქ ძალიან სწრაფად იქმნებოდა მოსახლეობის „სიმჭიდროვე“, ხდებოდა დემოგრაფიული აფეთქება, რაც იწვევდა მიგრაციებს (იხ. რუკაზე ინდოევროპელთა მიგრაციების ძირითადი მიმართულებები).

ყველაზე ახლოს წინარე სამშობლოსთან დარჩნენ ტომები, რომლებიც მეტყველებდნენ ანატოლიურ ენებზე (ხეთურზე, ლუვიურზე, ფალაურზე), ასევე, პრასომხურ ენაზე. უკვე იეროგლიფურ ლუვიურ წარწერებში მოხსენიებულია ადამიანი *Hay* ქვეყნიდან, კიდეც უფრო ადრინდელ წარწერებში, ლაპარაკია მთიან ქვეყანა *Hayasa-*ზე (თანამედროვე *hay-k'* – სომხები). პრასომხურთან ერთად ერთ დიალექტურ ჯგუფში ჯერ კიდევ პრაინდოევროპული ენის წიაღში შედიოდნენ პრაბერძნული და პრაირანული. შესაძლოა, რომ ყველაზე ადრეული კვალი ბერძენთა მიგრაციისა წინარე სამშობლოდან მცირე აზიაში დაცულია არგონავტების შესახებ მითში. მასში, როგორც ცნობილია, მოთხრობილია ბერძნების კოლხეთში მოსვლაზე ოქროს საწმისის წასაღებად. მხოლოდ აქ, მცირე აზიისა და ამიერკავკასიის საზღვარზე, პრაბერძნულ ენაში შეიძლება შესულიყო დიდი რაოდენობის პრაქართველური ნასესხობები; საწმისის სახელწოდებაც კი, მიკენური ბერძნული *kowo*, მომდინარეობს ქართველური *t'q'aw*-იდან, მოგვიანებით *t'q'ow*.

მიგრაციის ახალი სქემა სრულად ემთხვევა ანთროპოლოგების მიერ შედგენილ რუკას, რომელიც ასახავს კავკასიური ანთროპოლოგიური ტიპის გავრცელებას მცირე აზიის თავდაპირველი კერიდან. ძველი ანთროპოლოგიური ტიპი, რომელიც შეიძლება შევუთანადოთ პრაინდოევროპული ენის მატარებლებს, იყო არა რასისტი ფაშისტებისგან „ქერაკულულებიან გაიძვერა“-დ („die blonde Bestie“) მოხსენიებული ტიპი. ეს ახალი ანთროპოლოგიური ტიპი აღმოცენდა უფრო მოგვიანებით, უკვე ევროპის ძველ მოსახლეობასთან შერევის შემდეგ – სახელდობრ, კავკასოიდურ ტიპთან, რომელიც ცნობილია ხეთური ბარელიეფებიდან, ძვლებერძნული და ძველი სომხური გამოსახულებებიდან. ამ ტიპს განეკუთვნებიან არა მხოლოდ ინდოევროპელები, არამედ ის ხალხები, რომლებთანაც კონტაქტები და კავშირები გამომდინარეობს ზემოთ მოყვანილი ლინგვისტური მონაცემებიდან.

ინტერვიუში ასევე ლაპარაკია, თუ როდის მივიდნენ ინდოევროპელები ინდოეთში, როგორ ყალიბდებოდა მათი ურთიერთობები იქ მცხოვრებ დრავიდებთან? ამჟამად დრავიდულ ენებზე ლაპარაკობენ უპირატესად ინდოეთის სამხრეთში. ჩრდილო დრავიდული ენებისგან შემორჩა მხოლოდ მცირე ნაწილი. ამ დროს სწორედ ინდოეთის ჩრდილოეთით არსებობდნენ პროტო ინდური კულტურის ქალაქები – მოხენჯო-დარო და ჰარაპა. ეს ქალაქები გაქრნენ სადღაც III-II ათასწლეულის მიჯნაზე ახალ წელთაღრიცხვამდე, რაც, შეიძლება დაკავშირებული იყოს ინდოარიელების მოსვლასთან ინდის ხეობაში. ინდოევროპელთა სავარაუდო მიგრაციების ექსპერიმენტული შემოწმება შესაძლებელია არქეოლოგიური აღმოჩენებით, ძველი არქივების გახსნით, რის შედეგადაც ივსება თეთრი ლაქები არქეოლოგიურ რუკაზე. შემთხვევითმა აღმოჩენებმა, მაგალითად, 30-იან წლებში მუთის მთის არქივის აღმოჩენამ, ვ.ა. ლივშიცის მიერ შესანიშნავად დეშიფრირებულმა, შეცვალა ჩვენი წარმოდგენები ირანულ ენებზე. არ არის გამორიცხული, რომ შუა აზიის უდაბნოების კვლევამ მოგვცეს ბევრი ახალი და საინტერესო ცნობა. მაგალითად, შუა აზიის მდინარეთა სახელები *სირდარია* და *აზუდარია* – ძველი ინდოევროპული სიტყვებია, მნიშვნელობით „მდინარე, წყალი, დინება“. ქვიშაში გათხრები ძნელია, მაგრამ სწორედ ქვიშაში შეიძლება იყოს კარგად შენახული ძველი დასახლებები, ასევე, წერილობითი ძეგლები.

ინტერვიუს ბოლოს თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი გამოთქვამენ იმედს, რომ ერთობლივი კვლევები ლინგვისტებსა და არქეოლოგებს შესაძლებლობას მისცემს დაზუსტდეს პროტოინდოევროპული ენა, აღდგეს რეალური სურათი იმ გზებისა, რომლითაც გადაადგილდებოდნენ ინდოევროპელები.